



**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმა
სსიპ-ქალაქ ბათუმის N 30 საჯარო სკოლა**

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: თალიკო ჯაყელი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი)

წევრები:

თამარ სურმანიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი)

ნელი ნაოჭაშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

კახა გალდავა (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ნინო მოლაშხია (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

მარიამი ჩიკვაძე-კეჭაყმაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

გიორგი ტაბუცაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

თამარ ოძელაშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ინგა ანდიაშვილი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ალექსანდრე ჩახნაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ნინო ჭიჭინაძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ		
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ- ქალაქ ბათუმის N 30 საჯარო სკოლა	
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	248386624	

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია		
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქალაქი ბათუმი	
ფაქტობრივი მისამართი	ქალაქი ბათუმი, სვიმონ კანანელის ქ. N 1	
საფოსტო ინდექსი	6001	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://skolebi-admin.emis.ge/dashboard	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Batumi30@mes.gov.ge	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	577304216	

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES 4 24 0000964608,	12/08/2024
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2024 წლის 25 და 26 სექტემბერი	

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საფეხური	ქართული ენა	ქალაქი ბათუმი, სვიმონ კანანელის ქ. N 1 1 (ერთი) შენობა
	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხური	ქართული ენა	ქალაქი ბათუმი, სვიმონ კანანელის ქ. N 1 1 (ერთი) შენობა
	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხური	ქართული ენა	ქალაქი ბათუმი, სვიმონ კანანელის ქ. N 1 1 (ერთი) შენობა

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სსიპ ქალაქ ბათუმის N 30 საჯარო სკოლის შეფასების პროცესმა ჩაიარა საქმიან, კონსტრუქციულ და მშვიდ ვითარებაში. დაწესებულებაში ვიზიტამდე, Teams - პლატფორმაზე, ავტორიზაციის ჯგუფისთვის შეიქმნა ვირტუალური სივრცე, სადაც ექსპერტებისთვის გაზიარებულ იქნა, როგორც სკოლის თვითშეფასების განაცხადი, ასევე, სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა

წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რის საფუძველზეც შედგა ვიზიტის დღის წესრიგი, რომელიც გასაცნობად გადაეგზავნა დაწესებულებას. აღსანიშნავია, რომ ვიზიტის დროს სკოლაში შექმნა ყველა პირობა პროცესის სათანადოდ წარმართვისთვის, გამოავლინა თანამშრომლობის მაღალი კულტურა. გამოყო სივრცე შეხვედრებისთვის, განრიგის შესაბამისად ორგანიზებულად შეგვახვედრა თანამშრომლებთან.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების შესაბამისობას ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტის მოთხოვნებთან მიმართებით, დაათვალიერა ინფრასტრუქტურა და გაესაუბრა, როგორც ადმინისტრაციულ პერსონალს, ასევე სკოლის მასწავლებლებს. საგნობრივ ექსპერტებს საშუალება ჰქონდათ ონლაინ რეჟიმში გასაუბრებოდნენ შესაბამის მასწავლებლებს და მოეპოვებინათ მათთვის საჭირო ინფორმაცია მეორე სტანდარტთან დაკავშირებით. ონლაინ შეხვედრა შედგა ყველა საგნობრივ ჯგუფთან, განხილულ იქნა კურიკულუმის შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და მონიტორინგის საკითხები, ასევე, ექსპერტებს საშუალება ჰქონდათ მიეღოთ დეტალური პასუხები ცალკეულ ინდიკატორებთან მიმართებით.

სსიპ ქალაქ ბათუმის N 30 საჯარო სკოლაში დაგეგმილ წარმოებაში მონაწილეობა მიიღო დაწყებითი საფეხურის ექსპერტმა. ის გაეცნო სკოლის მიერ გადმოგზავნილ მასალებს, ხოლო 25-26 სექტემბერს, სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტის დროს, მონაწილეობა მიიღო ინტერვიუში, სკოლის დაწყებითი საფეხურის პედაგოგებთან. ინტერვიუს დროს დააზუსტა საკითხები, რომლის შესახებაც სიღრმისეული ინფორმაცია სჭირდებოდა. პედაგოგებს მისცა რეკომენდაციები. ინტერვიუს შემდეგ გაეცნო დაწყებითი საფეხურის თითოეული საგნის: მათემატიკა, ბუნებისმეტყველება, სახელმწიფო ენა, მე და საზოგადოება- საგნობრივი ექსპერტების მიერ შევსებულ საგნობრივი კურიკულუმის შეფასების ფორმას და გააკეთა თითოეული საგნის შეფასების ფორმის რევიზია.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).



სსიპ ქალაქ ბათუმის N 30 საჯარო სკოლის გამორჩეული პრაქტიკაა სკოლის კოლექტივის გუნდური მუშაობა და თანამშრომლობის მაღალი ხარისხი; აქცენტი კეთდება ნებისმიერი შესაძლებლობის მექანე მოსწავლისათვის ჯანსაღი, უსაფრთხო და თანაბრად ხელმისაწვდომი სასწავლო გარემოს შექმნაზე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი განთლების მისაღებად; სკოლა გამორჩევა პროექტების, კონკურსების, ინტელექტუალური და სპორტული თამაშების დაგეგმვითა და განხორციელებით. ეს ყველაფერი სასკოლო ცხოვრებას ხდის უფრო მრავალფეროვანს, სახალისოს, საინტერესოს და სასიამოვნოს. ასეთი გარემო ეხმარება სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენასა და რეალიზებაში. ამ აქტივობებით სკოლა კონკურენტულუნარიანია, მოთხოვნადია, რაც გამოიხატება მოსწავლეების მოზიდვითა და მათი რაოდენობის ზრდით. ფორმალური თუ არაფორმალური ხასიათის ღონისძიებებში აქტიურადაა ჩართული სასკოლო საზოგადოება: მოსწავლე, მასწავლებელი და მშობელი; სკოლამ წარმატებით განახორციელა შემდეგი პროექტები: „ეროვნული სამოსის დღე“, „პერსონაჟის დღე“, „შემოდგომის კვირეული“, „გოგებაშვილის კვირეული“, „წიგნის კითხვის კვირეული“, „კინომუსიკა ქართული ფილმების მიხედვით“, ინტელექტუალური თამაშები: „ყველაზე ჭკვიანი“, სკოლამ გაიმარჯვა კონკურსში „პროექტი ჩემს გაკვეთილზე“- დაწყებით საფეხურზე ორმა მასწავლებელმა მოიპოვა 1000-1000 ლარიანი გრანტი წარდგენილი პროექტების დასაფინანსებლად; სკოლაში ფუნქციონირებს საგნობრივი წრეები და კლუბები: „მხიარულთა და საზრიანთა კლუბი“, „ნორჩი პიტაგორელები“, „გლობუსი“, „აფსაროსი“, „ეკოკლუბი“, კალათბურთის წრე, „დეკლამატორთა კლუბი“, „ნორჩ მკითხველთა კლუბი“; მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ სპორტულ შეჯიბრებებში;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს სკოლაში დასაქმებული თითოეული პირი, რომლებთანაც უშუალოდ ვიზიტის პერიოდში შედგა ურთიერთობა, კარგად იცნობს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სპეციფიკას, სკოლის კულტურას და სასკოლო საზოგადოებასა თუ თემში არსებულ ინტერესებს. დაწესებულებაში არსებული თანამშრომლობითი გარემო განაპირობებს პედაგოგთა გუნდურ მუშაობასა და ახალგაზრდა კადრების სკოლაში დასაქმებით დაინტერესებას, თვალშისაცემია ფუნქცია-მოვალეობათა ეფექტიანი გადანაწილება, რაც ხელს უწყობს სასწავლო პროცესის უწყვეტობას.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება



	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 მოსწავლეთა მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	☒ შეესაბამება



მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 550	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა <i>(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)</i>
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;

საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;

საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება



გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	ხარვეზი
ინდიკატორი N		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	ხარვეზი
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	ხარვეზი
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	ხარვეზი
ინდიკატორი N2.2.2.3		



ინდიკატორი N2.2.2.3		

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა).¹

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N...		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N...		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N...		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
--------------	--------------------	--

¹ გარდ მეთე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.



	(ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	
ინდიკატორი N...		

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	რჩევა
ინდიკატორი N 1.1.1.2	სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;	სკოლის ფილოსოფიის შემუშავებისას, კარგი იქნება, სკოლამ გაითვალისწინოს და მისიაში ასახოს ლოკალური გარემოსათვის დამახასიათებელი სოციალური, ისტორიული, ეკონომიკური და ინფრასტრუქტურული თავისებურებები; კერძოდ, სკოლა მდებარეობს ბათუმის გარეუბანში- გონიოში, რომელიც ცნობილია ისტორიული ძეგლებითა და ტურისტული მიმართულებებით;
ინდიკატორი N1.2.1.4	სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.	სამოქმედო გეგმის რესურსების სვეტში სკოლას ძირითადად მითითებული აქვს „არსებული რესურსი“, მიზანშეწონილია, სკოლამ დააკონკრეტოს რა ფინანსური და მატერიალური რესურსით უზრუნველყოფს კონკრეტული პუნქტის განხორციელებას.



სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი N3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართუა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);	სასურველია სკოლას ჰყავდეს შრომის უსაფრთხოების სერტიფიცირებული სპეციალისტი;
ინდიკატორი N3.4.1.6	სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას	სასურველია სკოლას ჰყავდეს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი;
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი	რჩევა
--------------	--------------------	-------



	(ასახეთ კურიკულუმის დასახელება) ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	
ინდიკატორი N... 2.1.2.1.	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას.	მათემატიკა სასურველია საგნობრივი კურიკულუმის შემუშავების დროს გათვალისწინებული იყოს წინა წლის კურიკულუმის რევიზიის შედეგები. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ ჩანს მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს კურიკულუმის დანერგვისა და განხორციელების მონიტორინგს, თუმცა პედაგოგებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე საგნობრივი კურიკულუმის შედგენის დროს ითვალისწინებენ წინა წლის კურიკულუმის დანერგვა-განხორციელების გამოცდილებას. კარგი იქნება თუ სასწავლო წლის ბოლოს პედაგოგები გააკეთებენ კურიკულუმის დანერგვა-განხორციელების პროცესის რეფლექსიას, შედეგებს გააზიარებენ კათედრაზე და მომავალ სასწავლო წელს გაითვალისწინებენ საგნობრივი კურიკულუმის შედგენის დროს. სახელმწიფო ენა: დაწყებითი საფეხურის ყველა კლასის კურიკულუმის დანართში ჩაიწეროს კონკრეტული კომპლექსური ბუნების დავალებისთვის განმავითარებელი შეფასების რუბრიკა დავალების პირობაში ჩაშენებული შეფასების კრიტერიუმების/ მოთხოვნების გათვალისწინებით. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: სასურველია კათედრის ყველა წევრი შეთანხმდეს და კურიკულუმისათვის განისაზღვროს ერთნაირი აუცილებელი კომპონენტები. სასურველია ყველა კლასის კურიკულუმს დანართის სახით ჰქონდეს თანდართული შემოქმედებითი პროდუქტი.



ინდიკატორი 2.1.2.2.	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	მათემატიკა შუალედური მიზნების განსაზღვრის დროს კარგი იქნება დაწყებით საფეხურზე შეთავაზებული იყოს უფრო მრავალფეროვანი შემოქმედებით პროდუქტის შექმნა. ფიზიკური აღზრდა და სპორტი ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებელმა მე-II და მე-III კლასის კურიკულუმებში გაწეროს შუალედური მიზნები. მე-5 კლასის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კურიკულუმში თემასთან „ფრენბურთი“ მასწავლებელმა დააკორექტიროს სამიზნე ცნებაში „ფიზიკური თვისებები“ ქვეცნებები და მასთან შესაბამისი საკითხები. სახელმწიფო ენა: დაწყებითი საფეხურის ყველა კლასის კურიკულუმის სათაურის ველში ჩაიწეროს საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული თემების წლიური საათობრივი დატვირთვა. საზოგადოებრივი მეცნიერებები: საგან ჩვენი „საქართველოს კურიკულუმში“ სასურველია ყველა თემის ფარგლებში საკითხთა დამუშავებიდ დროს შუალედური მიზანი წარმოადგენდეს შემოქმედებით პროდუქტს. სასურველია აქტივობები იყოს მრავალფეროვანი და შედეგზე ორიენტირებული. ესთეტიკური მეცნიერებები: კურიკულუმებში მიეთითოს საგნებისთვის განსაზღვრული საათობრივი დატვირთვის ფარგლებში საათების სემესტრული განაწილება. მუსიკის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმებში თითოეულ თემას/საკითხს მიეთითოს შესაბამისი საათობრივი დატვირთვა.
--	--	---

ინდიკატორი 2.1.2.3.	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო რესურსი უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას	საზოგადოებრივი მეცნიერებები: სასურველია სასწავლო რესურსები იყოს მრავალფეროვანი. სასურველია სასწავლო რესურსები ორიენტირებული იყოს გრძელვადიანი სასწავლო მიზნების დამუშავებაზე.
ინდიკატორი 2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს;	საზოგადოებრივი მეცნიერებები: სასურველია დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში იკვეთებოდეს დიფერენცირების და ინკლუზიურობის მიდგომები. (მაგალითად მიეცით მოსწავლეს შესაძლებლობა აირჩიოს იდეებიდან მისთვის სასურველი შემოქმედებითი პროდუქტი).
ინდიკატორი 2.2.1.3.	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;	საზოგადოებრივი მეცნიერებები: სასურველია შეფასების სისტემა იყოს ნათლად დასაბუთებული და დამაჯერებელი, ასევე მნიშვნელოვანია შეფასების სისტემა მეტად იძლეოდეს მოსწავლის მიღწევების ადვილად დანახვა/წარმოდგენას და იყოს მეტად ცხადი. მათემატიკა: კარგი იქნება კათედრის სხდომებზე განიხილებოდეს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების ეფექტიანობა რასაც მოჰყვება მათი დახვეწა. ასევე კარგი იქნება დაინერგოს მოსწავლეთა ნამუშევრებით შედგენილი პორტფოლიოების შედგენა-შეფასების პრაქტიკა. უცხოური ენები: სასურველია უცხოური ენების კათედრამ შეიმუშავოს კონკრეტულ თემებზე/სალითხებზე მორგებული შეფასების სქემები/რუბრიკები, რათა უზრუნველყოფილი იყოს შეფასების სისტემის ვალიდურობა, სანდოობა და ობიექტურობა.
ინდიკატორი 2.2.2.2.	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას;	მათემატიკა: კარგი იქნება თუ შემუშავდება დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდურობის განსაზღვრის წესი.



	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	
ინდიკატორი 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას.	მათემატიკა: კარგი იქნება შემდგომში კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართული იყოს უფრო მეტი მოსწავლე და მათი მშობლები, რათა უკეთ იყოს გააზრებული და გათვალისწინებული მათი ინტერესები და მოსაზრებები. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ ჩანს მექანიზმი რომელიც უზრუნველყოფს კურიკულუმის დანერგვისა და განხორციელების მონიტორინგს, თუმცა პედაგოგებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე საგნობრივი კურიკულუმის შედგენის დროს ითვალისწინებენ წლის კურიკულუმის დანერგვა-განხორციელების გამოცდილებას. კარგი იქნება თუ სასწავლო წლის ბოლოს პედაგოგები გააკეთებენ კურიკულუმის დანერგვა-განხორციელების პროცესის რეფლექსიას, შედეგებს გააზიარებენ კათედრაზე და მომავალ სასწავლო წელს გაითვალისწინებენ საგნობრივი კურიკულუმის შედგენის დროს. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: სასურველია კათედრის ყველა წევრი შეთანხმდეს და კურიკულუმისათვის განისაზღვროს ერთნაირი აუცილებელი კომპონენტები, ასევე ყველა კლასი კურიკულუმს დანართის სახით ჰქონდეს თანდართული პროდუქტი შესაბამის აქტივობებით. სახელმწიფო ენა: საბაზო საფეხურის ყველა კლასის კურიკულუმის დანართში ჩაიწეროს კონკრეტული კომპლექსური ბუნების დავალებისთვის განმავითარებელი შეფასების რუბრიკა დავალების პირობაში ჩაშენებული შეფასების კრიტერიუმების/ მოთხოვნების გათვალისწინებით; კურიკულუმის ჩარჩო გაიმართოს ტექნიკური ხარვეზების გარეშე.



ინდიკატორი 2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს.	სახელმწიფო ენა: საბაზო საფეხურის ყველა კლასის კურიკულუმის სათაურის ველში გაიწეროს კურიკულუმით განსაზღვრული თემების წლიური საათობრივი დატვირთვა. ფიზიკური აღზრდა და სპორტი: ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებელმა მე-VIII კლასის კურიკულუმში გაიწეროს შუალედური მიზნები. საზოგადოებრივი მეცნიერებები: სასურველია საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე თემის ფარგლებში განსაზღვრული საკითხები შესაბამისობაში იყოს გრძელვადიან სასწავლო მიზნებთან და ორიენტირებული იყოს ესგს შედეგების მიღწევაზე. საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივ კურიკულუმებში სასურველია ყველა თემის ფარგლებში, საკითხთა დამუშავების დროს შუალედური მიზანი წარმოადგენდეს შემოქმედებით პროდუქტს. სასურველია საგნობრივ კურიკულუმებში გაწერილი აქტივობები იყოს მრავალფეროვანი და შედეგზე ორიენტირებული. მათემატიკა: კარგი იქნება, გადაიხედოს საგნობრივი სტანდარტი. გადამოწმდეს თემების შესაბამისობა სტანდარტთან და კურიკულუმის ჩარჩოს შესაბამის ველთან. ესთეტიკური საგნები: კურიკულუმებში მიეთითოს საგნებისთვის განსაზღვრული საათების საათობრივი დატვირთვის ფარგლებში საათების სემესტრული განაწილება. მუსიკის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმებში თითოეულ თემას/საკითხს მიეთითოს შესაბამისი საათობრივი დატვირთვა.



ინდიკატორი 2.1.2.3	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო რესურსი უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას	საზოგადოებრივი მეცნიერებები: სასურველია სასწავლო რესურსები იყოს მრავალფეროვანი, ასევე სასწავლო რესურსები ორიენტირებული იყოს გრძელვადიანი სასწავლო მიზნების დამუშავებაზე. სახელმწიფო ენა: სასურველია კურიკულუმის ჩარჩოში განსაზღვრული ელექტრონული რესურსების შესაბამისობა გადამოწმდეს მექანიკური შეცდომების თავიდან აცილების მიზნით. ფიზიკური აღზრდა და სპორტი: სასურველია ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებელმა მე-VIII კლასის კურიკულუმში წარმოდგენილი თემებისთვის მოიძიოს და გაწეროს შესაბამისი სასწავლო რესურსი.
ინდიკატორი 2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს.	საზოგადოებრივი მეცნიერებები: სასურველია საბაზო საფეხურის კურიკულუმებში იკვეთებოდეს დიფერენცირების და ინკლუზიურობის მიდგომები. (მაგალითად გაითვალისწინეთ მოსწავლეთა საჭიროებები და შესაძლებლობები, მიეცით მოსწავლეს შესაძლებლობა აირჩიოს იდეებიდან მისთვის სასურველი შემოქმედებითი პროდუქტი).
ინდიკატორი 2.2.1.1	სასწავლო პროცესი დაგეგმილია კურიკულუმის შესაბამისად.	საზოგადოებრივი მეცნიერებები: სასურველია საგნობრივ კურიკულუმში იკვეთებოდეს სასწავლო პროცესის თანმიმდევრობა, რაც იძლევა იმის საშუალებას, რომ დავინახოთ სასწავლო პროცესის დაგეგმვის და განხორციელების ერთობლიობა.
ინდიკატორი 2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;	მათემატიკა: კარგი იქნება თუ მოსწავლეთა შეფასებების ვერიფიკაციის მიზნით შემაჯამებელი დავალებების ანალიზის გარდა კიდევ იარსებებს მოსწავლეთა მიღწევების ანალიზის სხვა ფორმაც მაგალითად მოსწავლეთა პორტფოლიო, სადაც



		მოსწავლეები შეაგროვებენ საკუთარ ნამუშევრებს, წარადგენენ პედაგოგებთან და მოხდება მათი ნამუშევრების შეფასება საერთო კრიტერიუმების მიხედვით შედგენილი შეფასების რუბრიკებით. საზოგადოებრივი მეცნიერებები: სასურველია შეფასების სისტემა იყოს ნათლად დასაბუთებული და დამაჯერებელი. სასურველია შეფასების სისტემა მეტად იძლეოდეს მოსწავლის მიღწევების ადვილად დანახვა/წარმოდგენას და იყოს მეტად ცხადი. უცხოური ენები: სასურველია უცხოური ენების კათედრამ შეიმუშავოს კონკრეტულ თემებზე/სალითხებზე მორგებული შეფასების სქემები/რუბრიკები, რათა უზრუნველყოფილი იყოს შეფასების სისტემის ვალიდურობა, სანდოობა და ობიექტურობა.
ინდიკატორი 2.2.2.2	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას;	მათემატიკა: კარგი იქნება თუ შემუშავდება დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდურობის განსაზღვრის წესი.
ინდიკატორი 2.2.2.3	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;	სასურველია, სკოლამ უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის შესაბამისი აღჭურვილობით კვლევითი სამუშაოების უსაფრთხოდ ჩატარების მიზნით
	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	



ინდიკატორი 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას.	მათემატიკა: სასურველია შემდგომში კურიკულუმის შემუშავების დროს გათვალისწინებული იყოს წინა წლის კურიკულუმის მონიტორინგის, რავიზიის და შეფასების შედეგები. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ ჩანს მექანიზმი რომელიც უზრუნველყოფს კურიკულუმის დანერგვისა და განხორციელების მონიტორინგს, თუმცა პედაგოგებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე საგნობრივი კურიკულუმის შედგენის დროს ითვალისწინებენ წინა წლის კურიკულუმის დანერგვა-განხორციელების გამოცდილებას. კარგი იქნება თუ სასწავლო წლის ბოლოს პედაგოგები გააკეთებენ კურიკულუმის დანერგვა-განხორციელების პროცესის რეფლექსიას, შედეგებს გააზიარებენ კათედრაზე და მომავალ სასწავლო წელს გაითვალისწინებენ საგნობრივი კურიკულუმის შედგენის დროს. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: სასურველია კათედრის ყველა წევრი შეთანხმდეს და კურიკულუმისათვის განისაზღვროს ერთნაირი აუცილებელი კომპონენტები. სასურველია ყველა კლასის კურიკულუმს, დანართის სახით ჰქონდეს თანდართული --- პროდუქტი შესაბამისი აქტივობებით. სახელმწიფო: საშუალო საფეხურის ყველა კლასის კურიკულუმის დანართში ჩაიწეროს კონკრეტული კომპლექსური ბუნების დავალებისთვის განმავითარებელი შეფასების რუბრიკა დავალების პირობაში ჩაშენებული შეფასების კრიტერიუმების/ მოთხოვნების გათვალისწინებით;
ინდიკატორი 2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	მათემატიკა: კარგი იქნება, გადაიხედოს საგნობრივი სტანდარტი. გადამოწმდეს თემების შესაბამისობა სტანდარტთან და კურიკულუმის ჩარჩოს შესაბამის ველთან. ესთეტიკური მეცნიერებები: მუსიკის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმებში, თითოეულ თემას/საკითხს მიეთითოს შესაბამისი საათობრივი დატვირთვა.



		საზოგადოებრივი მეცნიერებები: სასურველია საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე საშუალო საფეხურზე თემის ფარგლებში განსაზღვრული საკითხები შესაბამისობაში იყოს გრძელვადიან სასწავლო მიზნებთან და ორიენტირებული იყოს ესგს შედეგების მიღწევაზე. საზოგადოებრივი მეცნიერებების საშუალო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში სასურველია ყველა თემის ფარგლებში, საკითხთა დამუშავების დროს შუალედური მიზანი წარმოადგენდეს შემოქმედებით პროდუქტს. საშუალო საფეხურზე სასურველია საგნობრივ კურიკულუმებში გაწერილი აქტივობები იყოს მრავალფეროვანი და შედეგზე ორიენტირებული. სახელმწიფო ენა: საშუალო საფეხურის ყველა კლასის კურიკულუმის სათაურის ველში გაიწეროს კურიკულუმით განსაზღვრული თემების წლიური საათობრივი დატვირთვა. ფიზიკური აღზრდა და სპორტი: ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებელმა მე-XII კლასის კურიკულუმში გაწეროს შუალედური მიზნები.
ინდიკატორი 2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;	სახელმწიფო ენა: საშუალო საფეხურის ყველა კლასის კურიკულუმის სათაურის ველში გაიწეროს გრიფირებული ან საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან, კანონმდებლობით დადგენილი წესით შეთანხმებული სახელმძღვანელოს დასახელება. ფიზიკური აღზრდა და სპორტი: ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებელმა მე-XII კლასის კურიკულუმში წარმოდგენილი თემებისთვის მოიძიოს და გაწეროს შესაბამისი სასწავლო რესურსი.



		საზოგადოებრივი მეცნიერებები: სასურველია სასწავლო რესურსები იყოს მრავალფეროვანი. სასურველია სასწავლო რესურსები ორიენტირებული იყოს გრძელვადიანი სასწავლო მიზნების დამუშავებაზე.
ინდიკატორი 2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს;	საზოგადოებრივი მეცნიერებები: სასურველია საშუალო საფეხურის კურიკულუმებში იკვეთებოდეს დიფერენცირების და ინკლუზიურობის მიდგომები.
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	მათემატიკა: კარგი იქნება თუ გამოიკვეთება როგორ ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებს შეფასების რუბრიკების შეიქმნის დროს.
ინდიკატორი 2.2.1.1	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად;	საზოგადოებრივი მეცნიერებები: საშუალო საფეხურზე, საგნობრივ კურიკულუმში სასურველია იკვეთებოდეს სასწავლო პროცესის თანმიმდევრობა, რაც იძლევა იმის საშუალებას, რომ დავინახოთ სასწავლო პროცესის დაგეგმვის და განხორციელების ერთობლიობა.
ინდიკატორი 2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;	მათემატიკა: კარგი იქნება კათედრის სხდომებზე განიხილებოდეს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების ეფექტიანობა რასაც მოჰყვება მათი დახვეწა. ასევე კარგი იქნება დაინერგოს მოსწავლეთა ნამუშევრებით შედგენილი პორტფოლიოების შედგენა-შეფასების პრაქტიკა.



		საზოგადოებრივი მეცნიერებები: სასურველია შეფასების სისტემა იყოს ნათლად დასაბუთებული და დამაჯერებელი. სასურველია შეფასების სისტემა მეტად იძლეოდეს მოსწავლის მიღწევების ადვილად დანახვა/წარმოდგენას და იყოს მეტად ცხადი. უცხოური ენები: სასურველია უცხოური ენების კათედრამ შეიმუშავოს კონკრეტულ თემებზე/სალითხებზე მორგებული შეფასების სქემები/რუბრიკები, რათა უზრუნველყოფილი იყოს შეფასების სისტემის ვალიდურობა, სანდოობა და ობიექტურობა.
ინდიკატორი 2.2.2.1	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში;	სახელმწიფო ენა: კურიკულუმის ჩარჩოში განსაზღვრული თემის სწავლებისთვის განსაზღვრული ელექტრონული რესურსები გადამოწმდეს თემასთან შესაბამისობის თვალსაზრისით; კურიკულუმის ჩარჩოს საბოლოო ფორმა გადამოწმდეს ტექნიკური ხარვეზის თავიდან აცილების მიზნით.
ინდიკატორი 2.2.2.2	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას;	მათემატიკა: კარგი იქნება თუ შემუშავდება დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდურობის განსაზღვრის წესი.
ინდიკატორი 2.2.2.3	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;	სასურველია, სკოლამ უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის შესაბამისი აღჭურვილობით კვლევითი სამუშაოების უსაფრთხოდ ჩატარების მიზნით

--	--	--

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

საავტორიზაციო ვიზიტის შემდეგ სკოლას გაეგზავნა ექსპერტთა ჯგუფის მიერ მომზადებული დასკვნის პროექტი, რომლის გაცნობის შემდეგ სკოლამ გამოხატა თანხმობა დასკვნის პროექტში აღწერილ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით და წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა მტკიცებულებებით; ასევე, ცნობად მივიღეთ, რომ სკოლა ეთანხმება ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს და ითვალისწინებს შემდგომ მუშაობაში;

სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის მიხედვით განხორციელებულია ღონისძიებები შემდეგი ინდიკატორების დასაკმაყოფილებლად:

სკოლის ზოგიერთ თანამშრომელს არ ჰქონდა წარმოდგენილი ცნობები ნასამართლობის, უფლების ჩამორთმევისა და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლობის შესახებ, რაც არ შეესაბამება **3.1.2.3. ინდიკატორის** მოთხოვნებს : პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით; იდენტიფიცირებული თანამშრომლების მიერ კანონმდებლობით დადგენილი ცნობების წარდგენა მოხდა 27.09.24 - 28.10.24 პერიოდში, რაც დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით (დანართი N 1-ცნობები).

3.1.2.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

სკოლას არ ჰქონდა უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რაც არ შეესაბამება **3.4.1.1. ინდიკატორის** მოთხოვნებს: სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური;

24.06.2024 წ. სკოლას გაგზავნილი ჰქონდა წერილი შესაბამის ორგანოსთან საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შესათანხმებლად. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ 7.10.2024 წ. გამოგზავნილი წერილის მიხედვით, სკოლის მიერ წარდგენილი გეგმა შეთანხმებულ იქნა შესაბამისი სამსახურის მიერ, რაც დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებით (დანართი N2-შეთანხმების წერილი). **3.4.1.1. ინდიკატორი** დაკმაყოფილებულია

სკოლას არ ჰქონდა შესაბამისი მატერიალური რესურსი გამწოვი კარადის სახით საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში პრაქტიკული კვლევების უსაფრთხოდ ჩატარებისათვის ზოგადი განათლების საბაზო და საშუალო საფეხურებზე ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად, რაც არ შეესაბამება **2.2.2.3. ინდიკატორის** მოთხოვნებს: კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

სკოლამ განახორციელა ღონისძიებები მატერიალური რესურსის - გამწოვი კარადის დასამონტაჟებლად საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში პრაქტიკული კვლევების უსაფრთხოდ ჩატარებისათვის, წარმოადგინა მტკიცებულება ხელშეკრულებისა და ფოტომასალის სახით (დანართი N3-ხელშეკრულება; დანართი N4-ფოტომასალა). წარმოდგენილი მტკიცებულებების მიხედვით ჩანს, რომ სკოლა იღებს პასუხისმგებლობას პრაქტიკული კვლევების უსაფრთხოდ ჩატარებაზე; თუმცა სამომავლოდ, მიზანშეწონილია, სკოლამ იზრუნოს სტანდარტების შესაბამისი საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის შექმნასა და აღჭურვაზე;

2.2.2.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმისა და მტკიცებულებების გაცნობის შემდეგ, ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის არგუმენტირებულ პოზიციას;



ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გამომდინარეობს და შესაბამისობაშია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან. მისიაში აქცენტი კეთდება ნებისმიერი შესაძლებლობის მქონე მოსწავლისათვის ჯანსაღი, უსაფრთხო და თანაბრად ხელმისაწვდომი სასწავლო გარემოს შექმნაზე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი განთლების მისაღებად;

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლის მისიისა და ხედვის ტექსტის მიხედვით, ასევე ინტერვიუს დროს გამოჩნდა, რომ სკოლა ცდილობს შექმნას ჯანსაღი, უსაფრთხო, თანაბრად ხელმისაწვდომი თანამედროვე სასწავლო გარემო კვალიფიციური კადრების მოზიდვითა და ინფრასტრუქტურის განვითარებით, შეინარჩუნოს დაწესებულებაში არსებული ტრადიციები და გააძლიეროს ის ახალი იდეებითა და ინოვაციური მიდგომებით; . ადმინისტრაცია და მასწავლებლები გასაუბრებისას ადასტურებენ დაწესებულებაში არსებულ თანამშრომლობით გარემოს, რომლითაც ხელი ეწყობა ცალკეული ინიციატივების დაგეგმვასა და განხორციელებას. სკოლის მიერ შემუშავებული ხედვის მიხედვით, 2030 წლისათვის სკოლაში შეიქმნება ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი მოქალაქის აღზრდისათვის საჭირო ხელსაყრელი პირობები, რაც ჯეროვნად წარმოჩენს სკოლის როლს;

რჩევა: სასურველია მისიისა და ხედვის შემუშავებისას, სკოლამ გაითვალისწინოს და ასახოს ლოკალური გარემოსათვის დამახასიათებელი სოციალური, ისტორიული, ეკონომიკური და ინფრასტრუქტურული თავისებურებები, კერძოდ სკოლა მდებარეობს ბათუმის გარეუბანში- გონიოში , რომელიც ცნობილია ისტორიული ძეგლით- გონიოს ციხით და, ასევე, შავიზღვისპირეთის ტურისტული მიმართულებებით;

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და გასაუბრებიდან გამოიკვეთა , რომ სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავებაში მონაწილეობდნენ როგორც სკოლის პედაგოგები , ასევე სასკოლო საზოგადოების სხვა წევრები: მშობლები, მოსწავლეები, თემის წარმომადგენლები. სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების დოკუმენტის შესაქმნელად შეიმუშავეს სპეციალური კითხვარი სხვადასხვა სამიზნე ჯგუფისათვის და გამოკვეთეს პრიორიტეტები. სკოლის ფილოსოფიის შემუშავებაში მონაწილე პირები განისაზღვრა სკოლის დირექტორის ბრძანებით. აღნიშნულმა ჯგუფმა ერთობლივად შეიმუშავა დოკუმენტის პროექტი. შენიშვნებისა და მოსაზრებების წარმოდგენისთვის გაუზიარა და გააცნო დაინტერესებულ ჯგუფებს, მათ შორის პედაგოგიურ საბჭოს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. ვიზიტის პერიოდში სკოლის საქმიანობაზე დაკვირვებით, ასევე გასაუბრებით აშკარად გამოიკვეთა, რომ სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. სკოლის თანამშრომლები პედაგოგიურ საბჭოსა და საგნობრივი კათედრების სხდომებზე სასკოლო სასწავლო გეგმის განხილვისას ეცნობიან სკოლის მისიას. კლასის დამრიგებლები კლასის პირველ კრებაზე, სხვა მნიშვნელოვანი დოკუმენტების შინაარსებთან ერთად, აცნობენ მოსწავლეების მშობლებს. თანამშრომლებთან გასაუბრებისას აქცენტს აკეთებენ მისიასა და ხედვაში არსებულ შინაარსებზე, განსაკუთრებით კი სკოლის ისეთ პროექტებსა და აქტივობებზე, რომელებიც ხელს უწყობენ ეფექტიანი სასწავლო გარემოს ჩამოყალიბებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. ავტორიზაციის განხორციელების მომენტისთვის სკოლის არსებული მისია, ხედვა და ღირებულებები ფართო ფორმატის ფურცელზე ამობეჭდილი და გაკრული იყო სკოლის ფოიეში . ასევე სკოლამ, სამინისტროს მხარდაჭერით, შექმნა ვებგვერდი სადაც ატვირთულია სკოლასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი დოკუმენტაცია, მათ შორის სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები, დოკუმენტის პროექტი ასევე განთავსებულია სკოლის სოციალურ ქსელებში, რაც დაადასტურდა ინტერვიუს პროცესშიც .

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6. სკოლის სახელწოდება შესაბამისობაშია კანონმდებლობით დაწესებულ ტერმინთან, კერძოდ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის # 448 ბრძანებასთან. სკოლასთან დაკავშირებულ ყველა დოკუმენტში, მათ შორის საჯარო რეესტრის ამონაწერში, სკოლა მოიხსენება, როგორც: სსიპ - ქალაქ ბათუმის N 30 საჯარო სკოლა“.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი N 1- სასკოლო სასწავლო გეგმა

დანართი N 85- მისიასა და ხედვაზე მომუშავე ჯგუფის შექმნის შესახებ

დანართი N 7- სამეურვეო საბჭოს ოქმი(სასკოლო სასწ. გეგმის დამტკიც. შესახებ)

დანართი N 22- მრჩეველთა საბჭოს შექმნის შესახებ

დანართი N 28-სკოლის წესდება (სკოლის სტრუქტურული ერთეულები და ფუნქციები)

დანართი N107- მოსწავლეთა თვითმმართველობის გეგმა

დანართი N 27- მორიგეობის განრიგი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც შეიცავს სასკოლო საზოგადოების ჩართვის და მათი პრიორიტეტების გათვალისწინების მექანიზმებს. მეთოდოლოგიის მიხედვით, სკოლის განვითარების პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა ხდება სასკოლო საზოგადოების გამოკითხვითა და შედეგების ანალიზით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლის სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, მოიცავს 2022-2029 წლებს, მასში დეტალურადაა გაწერილი სკოლის განვითარების ძირითადი მიზნები და მიზნების შესაბამისი ამოცანები, რომლებიც მისიასთან ძირითადად თავსებადია;

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სამოქმედო გეგმა გაწერილია ერთ სასწავლო წელზე. მასში განსაზღვრული აქტივობები გამომდინარეობს სტრატეგიული გეგმიდან, რომლებშიც გათვალისწინებულია გასული სასწავლო წლის შეფასებით დადგენილი საჭიროებები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სამოქმედო გეგმა გაწერილია ერთ სასწავლო წელზე. მასში განსაზღვრული აქტივობები გამომდინარეობს სტრატეგიული გეგმიდან, რომელშიც გათვალისწინებულია გასული სასწავლო წლის შეფასებით დადგენილი საჭიროებები; სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილია გეგმის შესრულების გაზომავდი მექანიზმები და ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები, სტრუქტურული ერთეულები; წლიურ სამოქმედო გეგმაში არის რესურსების სვეტი, რომელშიც ძირითადად მითითებულია “არსებული რესურსი“, ზოგიერთ შემთხვევაში არ არის დაკონკრეტებული თუ რა ფინანსური და მატერიალური რესურსით უზრუნველყოფს სკოლა კონკრეტული პუნქტის განხორციელებას.

რჩევა- სასურველია სამოქმედო გეგმის რესურსების სვეტში სკოლამ დააკონკრეტოს რა ფინანსური და მატერიალური რესურსით უზრუნველყოფს სკოლა კონკრეტული პუნქტის განხორციელებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დანართი N 62- სტრატეგიულ დაგეგმვაზე მომუშავე ჯგუფის შექმნის ბრძანება და გრაფიკი
2. დანართი N 82- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
3. დანართი N 6- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
4. დანართი N 4- სტრატეგიული განვითარების გეგმა;

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომლის მე-7 დებულებაში აღწერილია მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები. სტრატეგიული მიმართულებების შესრულების შეფასება ხდება ყოველწლიურად, სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფის მიერ. შეფასების შედეგების გათვალისწინებით იგეგმება ყოველწლიური სამოქმედო გეგმები, ასევე, შესაძლებელია ცვლილებების შეტანა;

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლა ახორციელებს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს მათ მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიის მიხედვით. სტრატეგიული განვითარების მონიტორინგი ხორციელდება დაკვირვებითა და შეფასებით, თუ რამდენად ხორციელდება სტრატეგიული მიზნები და ამოცანები. სტრატეგიული განვითარების მონიტორინგსა და შეფასებას ახორციელებს სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფი;

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლაში არსებული პრაქტიკის მიხედვით, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგს ატარებს გეგმებში მითითებული სტრუქტურული ერთეული. გეგმის განხორციელების შედეგების შეფასება ხდება სტრუქტურული ერთეულების მიერ. სასკოლო საზოგადოების წევრთა აზრის მოსმენის საშუალებებად მიჩნეულია პედაგოგიურ საბჭოსა და კათედრების სხდომები,

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები განიხილება სამეურვეო საბჭოსა და პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე. დამსწრე საზოგადოების აზრის მოსმენის შემდეგ კი ისახება პროცესების შემდგომი განვითარების ხელშეწყობი აქტივობები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.



დანართი N 82 -სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია
დანართი N 62- სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფის შექმნის ბრძანება
დანართი N 26- დიაგნოსტიკური წერების ჩატარების შესახებ ბრძანება
კითხვარი პრიორიტეტული მიმართულებების დასადგენად

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.
 - ☒ შეესაბამება
 - ☐ მეტწილად შეესაბამება
 - ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
 - ☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, თვითშეფასების კითხვარისა და ვიზიტის მიხედვით, სკოლაში მოქმედებს შემდეგი სტრუქტურული ერთეულები: პედაგოგიური საბჭო, სამეურვეო საბჭო, სკოლის დირექცია, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინურ კომიტეტი, მრჩეველთა საბჭო, 7 საგნობრივი კათედრა და მანდატურის სამსახური, სკოლაში არ არის შექმნილი სააპელაციო კომიტეტი; აღნიშნულ სტრუქტურულ ერთეულებში დასაქმებული პირების ფუნქციები ძირითადად ეყრდნობა „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების შინაარსს, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შინაარსსა და „ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების შინაარსს. დასაქმებულთა ფუნქცია მოვალეობები დაზუსტებულია გაფორმებულ ხელშეკრულებებში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სასკოლო საზოგადოებას წარმოადგენს სკოლის ყველა თანამშრომელი, რომელთა მოვალეობანი და უფლებამოსილებანი განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით, თანამდებობრივი ინსტრუქციებით და შინაგანაწესით. სკოლაში ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილების არსებული პრაქტიკა ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის წარმატებით განხორციელებას. სტრუქტურული ერთეულის/პირების ფუნქციები რეგულირდება სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღმწერი შემდეგი დოკუმენტით: ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება, ანგარიშვალდებულების სასკოლო სისტემა. სკოლის დირექტორი სამეურვეო საბჭოს წარუდგენს ყოველწლიურ ანგარიშს სკოლის საგანმანათლებლო, ფინანსური და საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა საქმიანობის შესახებ. დირექტორი უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმის განხორციელებას, კოორდინაციას უწევს კათედრების მუშაობას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი N 2- სკოლის შინაგანაწესი

დანართი N 20- მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულება

სკოლის სტრუქტურა ;

ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;

2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის დასაქმებულ პირებთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები. გამოცემულია შესაბამისი ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტები. პერსონალის მართვასთან დაკავშირებით სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, ასევე, მართვის გარკვეული მექანიზმები გაწერილია სკოლის შინაგანაწესში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლას შემუშავებული აქვს „ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტი“, რომელშიც გაწერილია ადამიანური რესურსების მართვის მიზნები და სტრატეგიები, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის ამოცანები, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის როლი სწავლის პროცესის გაუმჯობესებაში, ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარება, ადამიანური რესურსების მართვა, მასწავლებელთა პროფესიული განვითარება, სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვა, პროფესიული განვითარება და სხვა მნიშვნელოვანი დებულებები. დოკუმენტის მიხედვით დასახული მიზნების მისაღწევად მნიშვნელოვანია შეფასების როლი, რომელიც განვითარებაზეა ორიენტირებული. სკოლას პერსონალის მართვის წესები და პირობები ასევე წარმოდგენილი აქვს შინაგანაწესით, რომელიც შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. შინაგანაწესით განსაზღვრულია: სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, ყოველდღიური სამუშაოს დაწყებისა და დამთავრების დრო, ცვლაში მუშაობისას - ცვლის ხანგრძლივობა; დასვენების ხანგრძლივობა; სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ზოგადი ნორმები; სკოლაში ჩაცმულობის წესი და ა.შ. სკოლის პერსონალთან გაფორმებულია მოქმედი კანონმდებლობისა და სკოლის შინაგანაწესის შესაბამისი ხელშეკრულებები, პერსონალთან დადებული ხელშეკრულებით განსაზღვრულია, რომ სკოლის შინაგანაწესი ხელშეკრულების შემადგენელი და განუყოფელი ნაწილია. ხელშეკრულების ხელმოწერით დასაქმებული ადასტურებს შინაგანაწესის გაცნობის ფაქტს. სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულში დასაქმებული პირები იცნობენ ერთმანეთის ფუნქცია-მოვალეობებს და საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია საქმიანობის შეთავსება. დასაქმებულებთან გაფორმებული ხელშეკრულებების მიხედვით, დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის უწყვეტობას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3.სკოლაში თანამშრომლების მიღება ხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისად, შიდა და ღია კონკურსის საფუძველზე. ვაკანტური ადგილის არსებობის შემთხვევაში <https://teacherjobs.ge/> პლატფორმაზე, კანონის შესაბამისად, ცხადდება ვაკანსია, იქმნება კომისია და კანონმდებლობის წესის შესაბამისად, საკონკურსო ეტაპების გავლის შემდგომ (დოკუმენტაციის გადარჩევა, გასაუბრება) ხდება მოთხოვნათა შესაბამისად კვალიფიციური კადრის შერჩევა. სკოლას ცალკე ბრძანებით აქვს განსაზღვრული პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები. უკანასკნელ პერიოდში სკოლას ჰყავს კონკურსით შერჩეული რამდენიმე მასწავლებელი და სკოლის ექთანი. ყველა მათგანის შერჩევის პროცესი მიმდინარეობდა გამართულად, კანონმდებლობის დაცვით.სკოლის პერსონალთან გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულებები. სკოლის პედაგოგებს წარმოდგენილი აქვთ შსს-ს მიერ გაცემული ყველა საჭირო დოკუმენტი, თუმცა სკოლის ტექპერსონალის წარმომადგენლებს და ექთანს არ აქვს ცნობები ნასამართლობის, უფლების ჩამორთმევისა და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლობის შესახებ, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 ივლისის №463 დადგენილების „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის აღსრულებისა და მონიტორინგის წესის დამტკიცების თაობაზე, მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის პირობებს, რომლის მიხედვითაც დამსაქმებლმა, აღნიშნული დოკუმენტი დასაქმებამდე უნდა მოსთხოვოს.

დასკვნის პროექტის გაცნობის სემდეგ, სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა მტკიცებულებებით, რომლის მიხედვითაც ჩანს, რომ იდენტიფიცირებულმა პირებმა წარმოადგინეს კანონმდებლობით გათვალისწინებული ცნობები და ინდიკატორის მოთხოვნები სესრულებულია;

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4.სკოლაში დასაქმებულთა პირადი საქმეების გადამოწმებით დგინდება, რომ დასაქმებულთა კვალიფიკაცია შეესაბამება საკანონმდებლო მოთხოვნებსა და სკოლაში დაკავებულ თანამდებობას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. სკოლის შინაგანაწესის, სკოლის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების, სხვადასხვა კოლეგიალური ორგანოების დებულებებისა და დასაქმებულებთან გაფორმებული ხელშეკრულებების შინაარსი ორიენტირებულია მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებზე, რაც თვალშისაცემი იყო დაწესებულებაში ვიზიტისას. სასკოლო გეგმის შემუშავება ხორციელდება გუნდურად, კათედრების ჩართულობით და გადაწყვეტილებაც მიიღება გუნდურად, თუმცა საბჭოს ნებისმიერ წევრს აქვს უფლება დააფიქსიროს თავისი აზრი. აქტიურია კათედრებს შორის თანამშრომლობა, რასაც მოწმობს ჩატარებული ინტეგრირებული გაკვეთილები და განხორციელებული პროექტები, სკოლას წარმოდგენილი აქვს ინტეგრირებული გაკვეთილების გეგმები, რეფლექსიები და ანგარიშები. იგივე შეიძლება ითქვას შინაგანაწესის შემუშავებაზეც: შინაგანაწესი დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ, მაგრამ დამტკიცებამდე ყველა დაინტერესებულ პირს აქვს უფლება, წარმოადგინოს ცვლილებათა პაკეტი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6. სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის დებულების მიხედვით, სხვადასხვა საგნის მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას, მუშაობენ ერთობლივ პროექტებზე, ატარებენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს, ერთმანეთს აძლევენ სიტყვიერ რეკომენდაციებს. აღსანიშნავია, რომ სკოლის შინაგანაწესში ცალკე პუნქტებია გამოყოფილი თანამშრომლების წარმატების აღიარებისა და დაჯილდოებისთვის. მასწავლებლების წახალისება და დაჯილდოება სკოლაში ჩვეულებრივი პრაქტიკაა. სკოლისათვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მისი წარმატებები აღიარებული იყოს და გაუზიაროს სასკოლო საზოგადოებას და თემს, წარმატების გაზიარება ხდება ასევე შემდეგი მექანიზმების გამოყენებით: სკოლის სოციალური ქსელები და სკოლის ვებგვერდი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი N 97- მასწავლებელთა ურთიერთდასწრების ფორმა

დანართი N 130- მასწავლებელთა ურთიერთდასწრების გრაფიკი

დანართი N 88- ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი

დანართი N 113- კონკურსის დოკუმენტაცია

დანართი N 139- კონკურსის/ვაკანსიის ოქმი

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში პერსონალის შეფასებისა და საჭიროებების დადგენის უზრუნველსაყოფად ფუნქციონირებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. ის აქტიურად მუშაობს მასწავლებელთა საჭიროებების დადგენის მიზნით. მის მოვალეობაში შედის სკოლის მასწავლებლების პროფესიული საჭიროებების განსაზღვრა და პროფესიული

განვითარების ხელშეწყობა. ხარისხის განვითარების ჯგუფი ახორციელებს გაკვეთილებზე დასწრებას, შეფასებას, გასცემს უკუკავშირს და რეკომენდაციებს. ამ რეკომენდაციების საფუძველზე მასწავლებლები ეცნობიან თანამედროვე ლიტერატურას, გეგმავენ მომდევნო გაკვეთილებს და ხვეწენ საკუთარ პრაქტიკას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლა ზრუნავს პერსონალის უწყვეტ პროფესიულ ზრდაზე. ეს ხდება როგორც გარე, ასევე შიდა მექანიზმების საშუალებით, გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად. ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი სასწავლო წლის განმავლობაში ცდილობს ხელი შეუწყოს მასწავლებლებს პროფესიულ განვითარებაში, დაადგინოს მათი საჭიროებები და საჭიროებების გადაჭრის გზა/გზები. სკოლაში შემუშავებულია გაკვეთილებზე ურთიერთდასწრების გრაფიკი კათედრების მიხედვით, გაკვეთილის შეფასების რუბრიკები. პროფესიული ზრდისთვის მასწავლებლები ესწრებიან მათი საჭიროების მიხედვით ტრენინგებს და, ასევე, სამინისტროს მიერ ჩატარებულ სავალდებულო ტრენინგებსაც.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას, დროულად აწვდის ინფორმაციას სიახლეების და ცვლილებების შესახებ მასწავლებლები რეგისტრირდებიან და ესწრებიან მასწავლებლის სახლის მიერ ორგანიზებულ სავალდებულო ტრენინგებს. სკოლას ჰყავს 8 წამყვანი და 22 უფროსი მასწავლებელი, რაც ურთიერთთანამშრომლობითა და მხარდაჭერით იქნა მიღწეული. პედაგოგები პერმანენტულად ეცნობიან სწავლების ახალ მიდგომებს/მეთოდებს და ნერგავენ საგაკვეთილო პროცესში. მასწავლებელთა მიერ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა ძირითადად მიმართულია სწავლა-სწავლების უფრო მეტად სრულყოფაზე, გამრავალფეროვნებაზე. სკოლა ჩართულია USAID- ის საბაზისო განათლების გრძელვადიან საგანმანათლებლო პროექტში. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა მასწავლებლების პროფესიული განვითარებისთვის აქტიურად იყენებს საერთო სასკოლო პროექტებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან; ხორციელდება დიალოგი და კომუნიკაცია დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის. სკოლის დირექტორი ახალ კადრს აცნობს სკოლის ისტორიას, წესებს, ტრადიციებს და ამის შემდეგ წარუდგენს სასკოლო საზოგადოებას და პედაგოგიურ კოლექტივს. სოციალიზაციისა და ადაპტაციის ხელშეწყობისათვის კათედრა ხვდება მას, აცნობს სახელმძღვანელოებს, დამატებით რესურსებს, კურიკულუმს, შეფასების ინსტრუმენტებს, შინაგანაწესს, ათვალთვლებს სკოლას. დირექცია ხელს უწყობს ახალი კადრის სკოლის სრულფასოვან გუნდის წევრად ჩამოყალიბებას. სკოლა დეტალურად ეცნობა მის პირად საქმეს და ცდილობს ისეთი საქმის განხორციელება დაავალოს



პირველ ეტაპზე რაც გაუადვილებს მუშაობას და შეგუებას ახალ გარემოსთან. სკოლის მიერ მიღებული ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტში მკაფიოდაა გაწერილი ახალი თანამშრომლის ინტეგრაცია სამუშაო სივრცეში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებით, სკოლა მხარს უჭერს მასწავლებლების მიერ შემოთავაზებულ ნებისმიერ ინიციატივას, რომელიც გამოიხატება როგორც სკოლის შიგნით განსახორციელებელი აქტივობებით, ასევე სკოლის გარეთ. ინიციატივების წახალისების მექანიზმები გაწერილია სკოლის შინაგანაწესსა და დასაქმებულებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი N 88- ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი

დანართი N 2- სკოლის შინაგანაწესი

დანართი N 52- დირექტორის ბრძანება მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულების დამტკიცების შესახებ

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების: სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმები, სასკოლო სასწავლო გეგმა, საგნობრივი კურიკულუმები, მასწავლებელთა საგაკვეთილო პროცესზე დასწრების განრიგი, ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა და სასკოლო საქმიანობის აღმწერი სხვა დოკუმენტების შინაარსების მიხედვით ჩანს, რომ სკოლის მართვა მიმდინარეობს ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის - დაგეგმვა, განხორციელება, მონიტორინგისა და შეფასება/რევიზიის მიხედვით

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების: სკოლის შინაგანაწესი, სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმები, სასკოლო სასწავლო გეგმა, საგნობრივი კურიკულუმები, მასწავლებელთა საგაკვეთილო პროცესზე დასწრების განრიგი, ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა და სასკოლო საქმიანობის აღმწერი სხვა დოკუმენტების შინაარსების მიხედვით, უმეტეს შემთხვევაში განსაზღვრულია ვის მიერ, რა ნაბიჯების გადადგმით, რა ეტაპების გავლით ხორციელდება ესა თუ ის პროცესი. სკოლაში ვიზიტმა ცხადყო, რომ დასაქმებულმა პირებმა იციან რა, როდის უნდა გააკეთონ და რაზე აკისრიათ კონკრეტული პასუხისმგებლობა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლას შემუშავებული აქვს განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი, რომელიც შინაგანაწესთან ერთად ქმნის საჩივრების განხილვის სისტემას. სკოლაში დასაქმებული პირების და მოსწავლეთა მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები გაწერილია სკოლასა და ამ უკანასკნელთა შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებშიც.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4.სკოლის შინაგანაწესით, დასაქმებულებსა და მოსწავლეების მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების შინაარსით ხელი ეწყო სასკოლო საზოგადოების უფლებების შესახებ ინფორმაციის გაზიარებასა და უფლებების დაცვას. თითოეულ დასაქმებულთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება, სადაც დეტალურად არის გაწერილი დასაქმებულის უფლებები. სკოლას ხელშეკრულება გაფორმებული აქვს მოსწავლეთა მშობლებთან, რომლითაც რეგულირებულია სკოლისა და მშობლის ურთიერთვალდებულებები, მშობელთა ინფორმირებულობა განისაზღვრება სადამრიგებლო პროგრამებით. შინაგანაწესის რამდენიმე მუხლში გვხვდება მშობლის ინფორმირებულობის ვალდებულება, სკოლაში ფუნქციონირებს დისციპლინური კომიტეტი და საჭიროების შემთხვევაში იღებს გადაწყვეტილებებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი N9- დისციპლინურის ოქმი

დანართი N1- სასკოლო სასწავლო გეგმა

დანართი N84- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა

დანართი N3- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი

დანართი N51- განცხადებებისა და საჩივრების განხილვის წესი(ბრძანება)

დანართი N82- სასკოლო სასწავლო გეგმის მონიტორინგი

დანართი N2- სკოლის შინაგანაწესი

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;

2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასკოლო პროცესებთან დაკავშირებით, სასკოლო საზოგადოების ინფორმირებას, ასევე, უკუკავშირის მიღებას სკოლა ახდენს რამდენიმე მიმართულებით, კერძოდ, გამოიყენება დასწრებითი ფორმატი, სკოლის მთლიანი პერსონალის შეკრება და ინფორმაციის მიწოდება და უკუკავშირის მიღება, ანალოგიურად მშობლების შემთხვევაში. ასევე, ინფორმაციის შემცველი დოკუმენტების საინფორმაციო დაფაზე განთავსება, სოციალურ ქსელში განთავსება, ე.წ. ჩატებსა და მესენჯერ ჯგუფებში გაზიარება. ასევე, სკოლის შესახებ მნიშვნელოვანი ინფორმაციები განთავსებულია სკოლის ვებ-გვერდზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სასკოლო ცხოვრებაში სასკოლო საზოგადოების ჩართულობა სხვადასხვა ფორმით გამოიხატება, რასაც განაპირობებს სტრუქტურულ ერთეულთა ფუნქციების შინაარსი. მაგ.: სკოლაში მოქმედ სამეურვეო საბჭოსა და დისციპლინური კომიტეტს შეადგენენ სკოლის მასწავლებლები, მშობლები და მოსწავლეები. აღნიშნულ სტრუქტურულ ერთეულებში მათი ეფექტური მუშაობისთვის, სკოლა იცავს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს. მასწავლებლებს საკუთარი მოსაზრებების დაფიქსირების საშუალება ეძლევათ, როგორც სამეურვეო საბჭოში, ასევე პედაგოგიურ საბჭოსა და საგნობრივ კათედრებზე. მოსწავლეებს მოსწავლეთა თვითმმართველობაში, ხოლო მშობლებს სამეურვეო საბჭოში და კლასის მშობელთა კრებებზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი N 18- სკოლის მოადგილის ხელშეკრულება

დანართი N 17- ტექნიკურ პერსონალთან ხელშეკრულება

დანართი N 20- მასწავლებელთან გაფორმებული ხელშეკრულება

დანართი N53-დამრიგებლის მუშაობის დებულება

დანართი N60-მშობელთან ურთიერთობის სტრატეგიის დოკუმენტი

დანართი N 40- მშობელთა კრების ოქმი

დანართი N24- მშობელთა თანხმობა პერსონალური მონაცემების გასაჯაროებაზე

დანართი N55- სკოლის თვითმმართველობის დებულება

დანართი N104- სადამრიგებლო საათის რეფლექსია

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);
2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;
3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;

8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);
2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;
3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს უსაფრთხო გარემო, რაც საშუალებას იძლევა შეფერხების გარეშე წარიმართოს სასწავლო პროცესი.. ეს ეხება როგორც შენობის შიდა პერიმეტრს, ასევე სკოლის მიმდებარე ტერიტორიას. სკოლას ჰყავს 2 მანდატური, რომლებიც პასუხისმგებლები არიან წესრიგის დაცვაზე. სკოლაში უცხო პირების შემოსვლა ან გადაადგილება აკრძალულია, რასაც აკონტროლებს მანდატური. სკოლის პერიმეტრი დაცულია 24 საათის განმავლობაში სკოლის დარაჯის მიერ. სკოლას წარდგენილი აქვს უფლებამოსილ ორგანოსთან საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შესთანხმებლად. ამ გეგმის მიხედვით ყველა სართულზე, კედელზე განთავსებულია საევაკუაციო გეგმა, რომელიც შეესაბამება შენობის აზომვით ნახაზს და მასზე მითითებულია საევაკუაციო გასასვლელულები.

შენობაში დაცულია ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების წესები, კერძოდ შენობაში დამონტაჟებულია ხანძარსაწინააღმდეგო ადაპტორები, ხანძრის დროს ადამიანთა მაუწყებლობისა და ევაკუაციის მართვის სისტემა, დერეფნებში არის ცეცხლმაქრები დამუხტულ მდგომარეობაში, ყველა სართულზე, იქვე მითითებულია 112-ის ტელეფონის ნომერი, ხანძარსაწინააღმდეგო სტენდზე განთავსებულია სპეციალური აღჭურვილობა; სკოლას აქვს მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნათა შესაბამისობის გეგმა-გრაფიკის 18 თვეზე გაწერის შესახებ. სკოლას აქვს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული დასკვნა შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ;

დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა მტკიცებულებებით, საიდანაც ჩანს, რომ სკოლამ უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმდა საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლა უზრუნველყოფს პირველადი დახმარების აღმოჩენას. კერძოდ, სკოლას ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის ექთანი. სკოლამ რამდენჯერმე გამოაცხადა ვაკანსია ექიმის პოზიციაზე, შემდეგ, სამინისტროს ნებართვით, მოხდა ექთნის პოზიციაზე ვაკანსიის გამოცხადება. შეირჩა გამოცდილი კადრი და მასთან გაფორმებულია ხელშეკრულება; შენობაში განთავსებულია სათანადო ინვენტარითა და მედიკამენტებით აღჭურვილი სამედიცინო კაბინეტი. სამედიცინო კაბინეტში არსებული მედიკამენტები ინახება დაცულ კარადაში შესაბამის პირობებში და მასთან წვდომა აქვს მხოლოდ ექთანს. ექთანი აწარმოებს სამედიცინო კაბინეტში არსებული მედიკამენტების ჟურნალს. სამედიცინო ტახტი შემოსაზღვრულია ხელოვნური ბარიერით, არის მაცივარი ყინულისათვის დაჟეჟილობის ან სისხლდენის დროს გამოსაყენებლად;

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველსაყოფად გამოყოფილია შესაბამისი პირები, გადანაწილებულია მოვალეობები. სკოლაში უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობა ეკისრებათ მანდატურის სამსახურს და სკოლის დირექციას, ასევე ამ პროცესებში ჩართულია სკოლის 2 დარაჯი, დამრიგებლები და მორიგეები, რომლებიც მორიგეობის განრიგის მიხედვით ასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას. უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირები ვალდებული არიან გააკონტროლონ მოსწავლეთა შენობაში შესვლისა და შენობის დატოვების პროცესი. სასწავლო პროცესის დროს უცხო პირების გადაადგილება დაუშვებელია, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა. სკოლაში ფუნქციონირებს კანონმდებლობის დაცვით შექმნილი უსაფრთხოების მრჩეველთა საბჭო. სასკოლო საზოგადოება ინფორმირებულია საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის 112-ნომრების შესახებ. ისინი განთავსებულია სკოლის შენობის ყველა სართულზე. სკოლას დამონტაჟებული აქვს შიდა და გარე პერიმეტრის ვიდეო სათვალთვალო კამერები (საქ. განათლების მეცნიერებისა და სპორტის მინისტრის 29.01.2019 წლის 06/ნ ბრძანების 41-ე მუხლის მოთხოვნა)

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლის შინაგაწესის, სასკოლო სასწავლო გეგმის, სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების ფუნქციითა აღწერებისა და სასკოლო საზოგადოების წევრებთან (დასაქმებული და მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი) გაფორმებული ხელშეკრულების შინაარსები ორიენტირებულია სკოლაში ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს ჩამოყალიბებაზე. აღნიშნულისთვის შემუშავებულია სხვადასხვა წესი და სასწავლო წლის განმავლობაში ხორციელდება არა ერთი საგანმანათლებლო აქტივობა. მასწავლებლები გასაუბრებისას ხშირად აკეთებდნენ აქცენტს მათთვის და მოსწავლეებისათვის პოზიტიური საგანმანათლებლო გარემოს მნიშვნელობასა და მისი ჩამოყალიბების ხელშეწყობ მდგომარეობაზე. სადამრიგებლო პროგრამებით წარმოდგენილია კლასსათვის თემები, რომლებიც მიმართულია ემოციური და სოციალური უნარების განვითარებაზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. სკოლის შენობის სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები დაცულია, რაც დასტურდება შესაბამის სუბიექტებთან დადებული ხელშეკრულებების შინაარსით. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას ახორციელებს ოთხი დამლაგებელი პერსონალი უზრუნველყოფილია სანიტარულ-ჰიგიენური საშუალებებით. სანიტარიული კვანძის დასუფთავებისათვის განკუთვნილი ინვენტარი, ასევე, საყოფაცხოვრებო ქიმიური და სადეზინფექციო საშუალებები, ინახება სპეციალურად ამ მიზნისათვის განკუთვნილ სივრცეში. სველ წერტილებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. ყველა სველი წერტილი უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით. საჭირო რესურსით აღჭურვას უზრუნველყოფს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი. სკოლა შეუფერხებლად მარაგდება ცენტრალური წყლით. სკოლის ექთანის, ხელშეკრულებით განსაზღვრული მოვალეობების ფარგლებში, თვალყურს ადევნებს და უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6. სკოლას პერსონალური ინფორმაციის დასაცავად, დირექტორის ბრძანებით, განსაზღვრული ჰყავს შესაბამისი პირი. მოსწავლეთა და თანამშრომელთა პირადი საქმეები ინახება დაცულ ადგილას, რომელზეც წვდომა აქვს კონკრეტულ პიროვნებას. ასევე კონკრეტული პიროვნება პასუხისმგებელი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მართვაზე. პერსონალური ინფორმაცია გაიცემა მხოლოდ პირის თანხმობის შემთხვევაში. თითოეული მასწავლებელი და დამრიგებელი იცავს მოსწავლეთა პირადი მონაცემების კონფიდენციალობას. კვლევის პროცესებში, სასკოლო პროექტებში და სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილე მოსწავლეთა შესახებ ინფორმაციის, ფოტო სურათების გასაჯაროებისათვის მშობელთა თანხმობის შესახებ პუნქტი გაწერილია ხელშეკრულების ფორმაში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები; მასწავლებლები სარგებლობენ teachers.gov.ge-ს ინდივიდუალური მომხმარებლითა და პაროლით. სკოლის ტერიტორიაზე გარკვეულ საიტებზე წვდომა არ არის ხელმისაწვდომი

მოსწავლეებისათვის. სკოლის კომპიუტერებში ჩატვირთულია ანტივირუსული პროგრამები. პირადი მონაცემები განთავსებულია eSchool -ის ბაზაში; საქმის წარმოებისთვის გამოიყენება სკოლის იმეილი Batumi30@mes.gov.ge და Eflow. მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლების კუთხით კიბერ უსაფრთხოების საკითხებზე თემები შესულია სადამრიგებლო პროგრამებში. ასევე საუბრები იმართება მშობლებთანაც. სკოლა მონაცემების შეგროვებას და დაცვას ახდენს “პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ” საქართველოს კანონის სრული შესაბამისობით, რაც გაწერილია თანამშრომლებთან და მშობლებთან დადებულ ხელშეკრულებებში და შინაგანაწესში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

8. სკოლა ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების გასაუმჯობესებლად, პერიოდულად შეისწავლის და აფასებს არსებულ მდგომარეობას. ძირითადად მონიტორინგი ხორციელდება მრჩეველთა საბჭოსა და სკოლის დირექციის მიერ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი N132- პირველადი დახმარების აღმოჩენის წესი

დანართი N 23-მრჩეველთა საბჭოს შექმნის ბრძანება

დანართი N 115- სახანძროს დასკვნა/ ტექნიკური შემოწმება

დანართი N 116- ხანძარსაწინააღმდეგო გეგმა-გრაფიკის მოთხოვნა

დანართი N 114- საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა

დანართი N 141-შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა

დანართი N 72-პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი

დანართი N 19- ექთნის ხელშეკრულება

დანართი N 17- დარაჯის ხელშეკრულება

დანართი N 133- უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი

დანართი N 86- ადამიანისაქ და პროცესების უსაფრთხოება

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო საქმიანობისათვის საჭირო შესაბამისი ინფრასტრუქტურით. სკოლას, ქონების მართვის ეროვნული სააგენტოსგან სარგებლობის უფლებით, ქალაქ ბათუმში სვიმონ კანანელის ქ. N 1-ში გადაცემული აქვს ფართი, 9717.00 კვ.მ, მასზე განთავსებულია 3 სართულიანი შენობა სარდაფით, საერთო სასარგებლო ფართით: 3248.60 კვ.მ. სკოლა წარმოადგენს სამსართულიან კაპიტალურ შენობას, რომელიც გარემონტდა 2022-2023 წლებში, სკოლაში შექმნილია

ადპტირებული გარემო, არის პანდუსები და ლიფტი. სკოლაში 20 საკლასო ოთახია, მათ შორის : პირველ სართულზე -4, მეორეზე-9 და მესამეზე-7. სკოლას აქვს მუშა მდგომარეობაში მყოფი 14 პერსონალური კომპიუტერი და 50 ნოუთბუქი, 12 პროექტორი. 6 საკლასო ოთახში დამონტაჟებულია პროექტორები; პირველ და მეორე სართულებზე, გარდა საკლასო ოთახებისა, განთავსებულია სამედიცინო ოთახი, დირექტორის კაბინეტი, რესურსოთახი, კანცელარია, საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული ლაბორატორია, სამასწავლებლო, მანდატურის ოთახი, ბიბლიოთეკა, ბუფეტი (რომელიც კანონის შესაბამისად არის იჯარით გაცემული), სპორტდარბაზი, სააქტო დარბაზი; სპორტდარბაზი აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, არის გასახდელები გოგონებისა და ბიჭებისათვის ცალ-ცალკე; პირველ სართულზე სკოლას იჯარით აქვს გაცემული ფართი ბათუმის ზაქარია ფალიაშვილის სახ. მუსიკალურ სკოლაზე. პროფესიული განათლების სააგენტოსთან გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე პირველ სართულზე განთავსებულია პროფესიულ სასწავლებელ „ბლექს“-თან ერთად შესაბამისად აღჭურვილი სასწავლო სივრცე, სადაც მოსწავლეები, პროფორიენტაციისა და კარიერული საქმიანობის დაგეგმვის ფარგლებში, ეუფლებიან ისეთ პროფესიებს, როგორიცაა: სარესტრნო საქმე, ბარმენი, ბარისტა. მემორანდუმში გაფორმებულია ხანგრძლივი დროით, დასაქმების პერსპექტივით. სკოლას აქვს გარე სპორტული მოედანი, ცენტრალური გათბობის საქვაბე, კეთილმოწყობილი ეზო დასასვენებელი ზონებითა და მარადმწვანე დეკორატიული ხემცენარეებით;

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს, ღიაობისა და მიუკერძოებლობის პრინციპის დაცვით, ხელი მიუწვდება ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსებით სარგებლობაზე. მათ შორის: კომპიუტერულ ლაბორატორიაზე, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაზე, რესურსოთახსა და სპორტულ დარბაზზე, სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ღია სპორტულ მოედანზე, ბიბლიოთეკაზე. მოსწავლეებისათვის სამივე სართულის დერეფნები წარმოადგენენ დასვენებისა და სასკოლო საზოგადოებასთან კომუნიკაციის ადგილს. კომპიუტერული ლაბორატორია აღჭურვილია 50 ცალი ნოუთბუქით და 14 პერსონალური კომპიუტერით. ზემოთ ჩამოთვლილ სივრცეებში ტარდება სხვადასხვა სასწავლო და არაფორმალური აქტივობები, ღონისძიებები, ინტელექტუალური თამაშები, სპორტული აქტივობები და სხვა. ეს ყველაფერი სასკოლო ცხოვრებას ხდის უფრო მრავალფეროვანს, სახალისოს, საინტერესოს და სასიამოვნოს. ასეთი გარემო ეხმარება სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენასა და რეალიზებაში. ამ აქტივობებით სკოლა კონკურენტულუნარიანია, მოთხოვნადია, რაც გამოიხატება მოსწავლეების მოზიდვითა და მათი რაოდენობის ზრდით (ბოლო წლების სტატისტიკის მიხედვით)

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სასკოლო სასწავლო გეგმისა და საგნობრივი კურიკულუმებით განსაზღვრული საგანმანათლებლო მიზნების მისაღწევად, სკოლის ბიბლიოთეკაში განთავსებულია გრიფირებული სახელმძღვანელოები და მხატვრული ლიტერატურა, რომელიც აღრიცხული და დამუშავებულია სკოლის საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. ბიბლიოთეკაში დაცული ბეჭდური ფორმულარების მიხედვით, შეგვიძლია დავადგინოთ, რომ ბიბლიოთეკის რესურსით აქტიურად სარგებლობენ მოსწავლეები და სკოლის თანამშრომლები, ბიბლიოთეკაში ვხვდებით საგანმანათლებლო რესურსებსა და თვალსაჩინოებებს. ბიბლიოთეკას აქვს წიგნადი ფონდი, რომელიც ყოველწლიურად ივსება, აქვს ლეპტოპი და სამუშაო სივრცე. ბიბლიოთეკაში რესურსების განახლება ხდება სისტემატიურად. მათ შორის მასწავლებელთა საჭიროებების გათვალისწინებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლას აქვს ინკლუზიური განათლების განხორციელებისათვის აუცილებელი პირობები. გამოყოფილია სპეციალური ოთახი, სადაც მოსწავლეებისათვის არის ყველა საჭირო პირობები; შშმ პირების გადაადგილებისათვის არის შესაბამისი პანდუსები და მუშა მდგომარეობაში მყოფი ლიფტი; რესურსოთახი აღჭურვილია კომპიუტერით და პრინტერით, რბილი მოსასვენებელი ტახტითა და ყველა საჭირო რესურსით, მათ შორის საგანმანათლებლო წიგნებით, პლაკატებით და შესაბამისი ავეჯით მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის. სკოლის ინკლუზიური განათლების სპეციალისტები ხშირად ატარებენ კონსულტაციებს სკოლის მასწავლებლებისა და იმ კლასების დამრიგებელთათვის, სადაც სწავლება მიდის ინდივიდუალური სასწავლო გეგმებით, აღსანიშნავია ინკლუზიური განათლების სპეცმასწავლებელთა მჭიდრო კავშირები მოსწავლეთა მშობლებთან;

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. სკოლაში შექმნილია სოციო-კულტურული სივრცე, სადაც ყველა წევრი თავს გრძნობს ამ სივრცის ნაწილად. ფორმალური თუ არაფორმალური ხასიათის ღონისძიებებში აქტიურადაა ჩართული სასკოლო საზოგადოება: მოსწავლე, მასწავლებელი და მშობელი; სკოლამ წარმატებით განახორციელა შემდეგი პროექტები: „ეროვნული სამოსის დღე“, „პერსონაჟის დღე“, „შემოდგომის კვირეული“, „გოგებაშვილის კვირეული“, „წიგნის კითხვის კვირეული“, „კინომუსიკა ქართული ფილმების მიხედვით“, ინტელექტუალური თამაშები: „ყველაზე ჭკვიანი“, სკოლამ გაიმარჯვა კონკურსში „პროექტი ჩემს გაკვეთილზე“- დაწყებით საფეხურზე ორმა მასწავლებელმა მოიპოვა 1000-1000 ლარიანი გრანტი წარდგენილი პროექტების დასაფინანსებლად; სკოლაში ფუნქციონირებს საგნობრივი წრეები და კლუბები: „მხიარულთა და საზრიანთა კლუბი“, „ნორჩი პითაგორელები“, „გლობუსი“, „აფსაროსი“, „ეკოკლუბი“, კალათბურთის წრე, „დეკლამატორთა კლუბი“, „ნორჩ მკითხველთა კლუბი“; მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ სპორტულ შეჯიბრებებში: სკოლის სპორტულ დარბაზში, ასევე სპორტულ მოედანზე ტარდება სპორტული შეჯიბრებები ფრენბურთში, კალათბურთში, სკოლას აქვს გარკვეული წარმატებები ამ მიმართულებით:

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია



დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან; -
- შენობის შიდა აზომვითი ნახაზი ;
- საკადასტრო აზომვითი ნახაზი ;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;

- ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის შინაგანაწესისა და დასაქმებულებთან გაფორმებული ხელშეკრულებების მიხედვით, სასკოლო საზოგადოების წევრებს საშუალება ეძლევათ გამოიყენონ სკოლის კომპიუტერულ და ადმინისტრაციულ ოთახებში განთავსებული ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნიკა. სკოლას მიეწოდება უწყვეტი ინტერნეტი. სკოლას ჰყავს ისტ-ის კვალიფიციური კადრი, რომელიც მუდმივ მხარდაჭერას უწევს სკოლის პერსონალს ციფრული ტექნოლოგიების მიზნობრივ გამოყენებაში, რაც მოსწავლეებს და მასწავლებლებს უვითარებს ინფორმაციის მოძიების, დამუშავებისა და შეფასების, კომუნიკაციისა და თანამშრომლობის უნარებს, პედაგოგებს შორის ინფორმაციისა და მასალების გაცვლას, საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას; ამ ეტაპზე სკოლას აქვს 14 პერსონალური კომპიუტერი მუშა მდგომარეობაში, 50 ნოუტბუქი- ახლად გადაცემული, ნაწილი დაინსტალირებულია და ჩართულია სისტემაში, 12 პროექტორი მუშა მდგომარეობაში. სკოლაში არსებობს კომპიუტერული ინვენტარით აღჭურვილი კაბინეტი. შემუშავებულია კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი და გამოკრულია გრაფიკი;

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის გაცნობითა და ადგილზე ვიზიტით დადგინდა, რომ სკოლას აქვს შესაძლებლობა ინფორმაციული ტექნოლოგიები ხელმისაწვდომი იყოს ყველა მოსწავლისა და მასწავლებლისთვის; გარდა ისტ-ის გაკვეთილებისა, საგაკვეთილო პროცესის დამთავრების შემდეგ მოსწავლეები მასწავლებლის ხელმძღვანელობით ხშირად იყენებენ კომპიუტერულ ლაბორატორიას სხვადასხვა ტიპის კომპლექსური და შემოქმედებითი სამუშაოების მოსამზადებლად. მასწავლებლების განმარტებით, სასკოლო ჟურნალის შევსებისა და დოკუმენტაციის წარმოებისთვის, ისე რომ საგაკვეთილო პროცესს ხელი არ შეეშალოს, იყენებენ სკოლის კომპიუტერების ოთახს. საჭიროების შემთხვევაში კი, ტექნიკური ხარვეზის წარმოქმნისას, მათ აქტიურად ეხმარებათ სკოლის IT მენეჯერი. სკოლას შემუშავებული აქვს კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი და გრაფიკი;

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი ;
- კომპიუტერული ლაბორატორიის სარგებლობის წესი
- საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის გამოყენების წესი

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ეყრდნობა საქმისწარმოების ზოგად ნორმატიულ აქტებს, მაგალითად საქართველოს პრეზიდენტის 1993 წლის ივლისის N 414 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქმის წარმოების ერთიანი წესის დამტკიცებისა და ამოქმედების“ შესახებ. შემუშავებული და დამტკიცებული აქვს საქმისწარმოების საკუთარი წესი, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვით დოკუმენტების შესრულების კონტროლის ორგანიზების, დოკუმენტების შემდგომი შენახვისა და გამოყენებისათვის მოსამზადებლად. საქმის წარმოებაზე პასუხისმგებელია საქმისმწარმოებელი, რომლის მოვალეობები რეგულირდება შრომითი ხელშეკრულებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლა მართვაში იყენებს თანამედროვე ტექნოლოგიებს. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და საქართველოს მთავრობის შემოთავაზებულ ყველა ელექტრონულ ინსტრუმენტს, მათ შორის სკოლის მართვაში გამოიყენება : eflow, eschool, outlook , Office 365, MS Word, MS Excel. MS Power Point, Teams და Gmail-ელექტრონული ფოსტა, Facebooc -სოციალური ქსელი და სკოლის ვებგვერდი eflow-ს დახმარებით საქმისმწარმოებელი ელექტრონულად აღრიცხავს და არეგისტრირებს სასკოლო დოკუმენტაციას, ახორციელებს მოსწავლეების ჩარიცხვა-ამორიცხვას, უზრუნველყოფს სკოლის არქივის დაცვას, გასცემს დოკუმენტაციის დამოწმებული ასლს, ასევე უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის გაცემას, იღებს შემოსულ კორესპონდენციას, უზრუნველყოფს შემოსული კორესპონდენციის შესწავლასა და ადრესატისთვის წარდგენას და სხვა

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი მართვის საინფორმაციო სისტემაში, სადაც ის სრულყოფილად ასახავს ყველა სავალდებულო ინფორმაციას დადგენილი წესისა და ვადების შესაბამისად. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა. სკოლის ელექტრონული სისტემებში ხდება მოსწავლეთა შეფასება და გაცდენების აღრიცხვა

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლა დროულად და დაუყოვნებლივ აწვდის ანგარიშებსა თუ მოთხოვნილ ინფორმაციას შესაბამის რესურსცენტრსა და სხვა მარეგულირებელ უწყებებს. თანამშრომლობს მათთან და ამისათვის იყენებს ელექტრონულ საშუალებებს, მათ შორის სკოლის ელექტრონულ ფოსტას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი
- ინფორმაციული ტექნოლოგიებით სარგებლობის წესი
- საქმისწარმოების წესი ;

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირის სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

.სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებგვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით; სსიპ ქალაქ ბათუმის N 30 საჯარო სკოლის ვებ გვერდზე განთავსებულია შემდეგი ინფორმაცია:

- 1)სკოლის სტრუქტურა;
- 2)სკოლის ფილოსოფია;
- 3)სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა;
- 4)სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- 5)მოსწავლეთა მხარდაჭერი აქტივობები.;

გასაჯაროებული ინფორმაციები მაქსიმალურადაა დაცული პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ კანონით.

სკოლა ოფიციალური ინფორმაციის მისაწოდებლად მასწავლებლებისა და მოსწავლეებისათვის იყენებს ფოსტას , teams-ის პლათფორმას, Facebooc-ის დახურულ ჯგუფს მოსწავლეებისათვის და მასწავლებლებისათვის. ინფორმირებისა და კომუნიკაციის საშუალებაა ელექტრონული ჟურნალი. სკოლის Facebooc-ის გვერდი, რომელზედაც განთავსებულია ინფორმაცია სკოლის შესახებ (მისამართი, ფოსტა, ღირებულების საკონტაქტო ინფორმაცია). სწავლა-სწავლების პროცესის ამსახველი მასალა ქვეყნდება სკოლის გვერდზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლა უზრუნველყოფს მაქსიმალურად სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების შესახებ.. ეს ეხება მოსწავლეთა მხარდაჭერი აქტივობების განხორციელებას, პარტნიორულ ურთიერთობებს, მემორანდუმით გაფორმებული ხელშეკრულებების განხორციელებას, პროფესიული განათლების მოდულების განხორციელებას .

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. საზოგადოებასთან კომინიკაციის შემდეგ მიღებულ უკუკავშირის სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის შეფასებისათვის, რათა გააუმჯობესოს თავისი საქმიანობის ხარისხი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლის ვებ გვერდზე, <https://skolebi-admin.emis.ge/dashboard> - სსიპ ქალაქ ბათუმის N 30 საჯარო სკოლის ყველა ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე, საჭიროების შემთხვევაში თუ ეს აუცილებლობით იქნება გამოწვეული, სკოლას აქვს რესურსი საჭირო ინფორმაციის ინგლისურ ენაზე განთავსებისა;

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. ვებგვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სადაც აღწერილია სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები; სტრუქტურა, სადაც წარმოდგენილია სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულები და მათი ფუნქციები; სტრატეგიული გეგმა, სადაც წარმოდგენილია გრძელვადიანი 2022- 2029 წლების სტრატეგიული განვითარების და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მნიშვნელოვანი დოკუმენტები; ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, საკონტაქტო ინფორმაცია და ინფრასტრუქტურის ფოტო მასალა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

მისია, ხედვა, ღირებულებები,

სკოლის სასწავლო აღმზრდელობითი მუშაობის შეფასება;

მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები;

<https://skolebi-admin.emis.ge/dashboard>

შეფასება:

○ ვთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლისათვის გამოყოფილი ბიუჯეტი და ფინანსები მიზნობრივად ნაწილდება სახელფასო, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისა თუ საჭირო საგანმანათლებლო რესურსების შეძენის მიმართულებით. სკოლას აქვს დამატებითი ეკონომიკური შემოსავლები იჯარიდან. სკოლას განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან არასდროს არ მოუთხოვია დამატებითი დაფინანსება. სკოლის თანამშრომელთა და მასწავლებელთა მოტივაციის ამაღლების მიზნით თითქმის ყოველ წელიწადს ხდება მათი სხვადასხვა ფორმით წახალისება. ყოველივე ეს ქმნის საგანმანათლებლო საქმიანობის, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელების მყარ საფუძველს. ეს პროცესი მიმდინარეობს კანონმდებლობის ყველა წესის დაცვით და ხდება შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოება. ფინანსურ ანგარიშს დირექტორი ყოველი წლის 10 დეკემბრამდე აბარებს სამეურვეო საბჭოს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლის ბიუჯეტს ამტკიცებს სამეურვეო საბჭო და თანხებს განკარგვა ხდება დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მიმართავს სამეურვეო საბჭოს კორექტირებისათვის. ინვენტარისა თუ სხვა სახის საგნების შეძენის საჭიროების შემთხვევაში სკოლის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი მიმართავს დირექტორს მოხსენებითი ბარათით, რომელშიც აღწერილია საჭიროება და ბაზრის კვლევა. ყველა საჭირო პროცედურის დაცვით ფორმდება დოკუმენტაცია (ხელშეკრულება, ანგარიშფაქტურა მიღება-ჩაბარების აქტი) და ხდება შესყიდვა. მონიტორინგის ეფექტურ მექანიზმს წარმოადგენს სკოლის დირექტორის ანგარიში ფინანსურ საკითხებზე, რომელსაც იგი წარუდგენს ყოველი წლის 10 დეკემბრამდე სამეურვეო საბჭოს. უზრუნველყოფილია სკოლის ბიუჯეტის ხელმისაწვდომობა დაინტერესებული მხარეებისთვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია



დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2024 წლის სკოლის ბიუჯეტი;
- სახელმწიფო შესყიდვების წლიურ გეგმაში ცვლილების შეტანის შესახებ ბრძანება;
- 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ სამეურვეო საბჭოს ოქმი N6
- ბრძანება ფინანსური აქტივების, მოთხოვნილებებისა და ვალდებულებების მიზნით საინვენტარიზაციო კომისიის შექმნის შესახებ;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი ბიუჯეტის დამტკიცებაზე;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი - 10 დეკემბრის ფინანსური ანგარიში.
- 10 დეკემბრის ფინანსური ანგარიში.
- შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ;

სამსახურეობრივი ბარათი ბაზრის კვლევაზე.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების წარმომადგენლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მოსწავლეების უფლებები არის დაცული, რაც განსაზღვრულია შინაგანაწესში. დოკუმენტში აღწერილია მხარეთა უფლება-მოვალეობები და მოსალოდნელი შედეგები. ინდიკატორს ადასტურებს ასევე მშობელთან დადებული ხელშეკრულებები, სადაც გაწერილია სკოლის ვალდებულებები, რომ უზრუნველყოს მოსწავლეები სასწავლო პროცესის განმავლობაში სიცოცხლისათვის უსაფრთხო გარემოთი; იზრუნოს თითოეული მოსწავლის პიროვნულ და ფიზიკურ განვითარებაზე, დაიცვას მოსწავლის უფლებები და ინტერესები. სკოლა იცავს ასევე მოსწავლისა და მშობლის პერსონალურ მონაცემებს

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები არის გამჭვირვალე და გაზიარებული სასკოლო საზოგადოების მიერ. სკოლას შინაგანაწესი, მოსწავლის უფლებები და მოვალეობები გამოკრული აქვს საინფორმაციო დაფაზე. როგორც ინტერვიუს დროს აღნიშნეს, სკოლის ადმინისტრაცია და მასწავლებლები მშობელთა კრებისა თუ შეხვედრების დროს, მუდმივად აწვდიან ინფორმაციას მოსწავლეების უფლებების შესახებ. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ დამრიგებლები და მასწავლებლები მშობლებს აცნობენ სკოლის შინაგანაწესს, ჩაცმულობის წესს, ახალი სასწავლო წლის გეგმებსა და ამოცანებს, მშობლისა და მოსწავლეების უფლება-მოვალეობებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. ვიზიტის დროს დოკუმენტაციის დათვალიერებისა და წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ სკოლას მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული აქვს კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულებები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დანართი 2 შინაგანაწესი;
- დანართი 21 მშობელთან დადებული ხელშეკრულება;
- დანართი 90 მშობელთა კრების ოქმი;
- დანართი 24 მშობლის თანხმობა პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე;
- დანართი 34 სსსმ მოსწავლის ოქმი;

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტით “მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესის შესახებ” დასტურდება, რომ სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები. დოკუმენტში გაწერილია პირველკლასელთა რეგისტრაციის ეტაპები, როგორც პირველკლასელთა, ასევე საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეთა ჩარიცხვის წესი და პროცედურები. დეტალურად არის გაწერილი სტატუსის შეჩერების საფუძვლები, სტატუსის აღდგენისა და მობილობის საფუძვლები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლა ზედმიწევნით იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესს. სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა ტრანზიციის წესი, რომელშიც აღწერილია მოსწავლეთა სოციალიზაციის, ადაპტაციისა და ინტეგრაციისთვის საჭირო და დამხმარე სტრატეგიები. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პირველკლასელთა ტრანზიციის პირობების დაცვას, ასევე, სკოლას შემუშავებული აქვს უცხოენოვანი ან სხვა მოწყვლადი ჯგუფის წარმომადგენელი მოსწავლის ინტეგრირების ინდივიდუალური გეგმები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის შიდა პოლიტიკისა და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია დაწესებულებას განთავსებული აქვს საინფორმაციო დაფაზე, მაგალითად სკოლის შინაგანაწესში, მოსწავლეთა მოსალოდნელი ქცევის სახეები და შედეგები და აშ. შინაგანაწესსა და მოსწავლეთა ქცევის წესებს ასევე აცნობენ დამრიგებლები მშობლებს მშობელთა კრებებზე, სწავლის დასაწყისში, დოკუმენტში მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული სკოლის შიდა პოლიტიკა და სკოლისა და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლება მოვალეობები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. ინდიკატორს ადასტურებს ასევე სკოლის ფეისბუქ გვერდზე გავრცელებული ინფორმაციები სასწავლო პროცესში ჩატარებული ღონისძიებებისა თუ პროექტების შესახებ, რომელშიც მონაწილეობას ღებულობს მოსწავლეთა უმრავლესობა განსხვავებული შესაძლებლობებისა თუ ინტერესების მიხედვით. როგორც ინტერვიუს დროს აღნიშნეს, სკოლა მუდმივად ცდილობს მოსწავლეებსა და მშობლებთან გაიაროს კონსულტაცია, დაადგინოს მათი ინტერესები და შესთავაზონ შემდეგში შესაბამისი პროგრამები და სერვისები. სკოლაში



აქტიურად ფუნქციონირებს სხვადასხვა წრეები და კლუბები, ინფორმაციას გაწევრიანებისა და ჩართულობის შესახებ კი დამრიგებლები ატყობინებენ მშობლებსა და მოსწავლეებს, აღნიშნული ადასტურებს, რომ სკოლა ინფორმაციას პროგრამების/სერვისების შესახებ ავრცელებს კანონმდებლობის შესაბამისად და არადისკრიმინაციულად.

ინდიკატორი შეესაბამება მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დანართი N2 შინაგანაწესი;
- დანართი N69 “მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესის შესახებ“;
- დანართი N1 სასკოლო სასწავლო გეგმა;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;

